ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10/01/20

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ტენეტ"-ი** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ერაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საქართველოს მთავრობის განკარგულება N1805 26,09,2012წ) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ინტერნეტ-მომსხურების შესყიდვა**. (კლასიფიკატორის კოდი 72400000).

2.1.1 დ. კაზრეთში სკვერებში და ბულვარებში (4 წერტილი) უსადენო ინტერნეტის (ვაიფაი) მიწოდება -- 10 მეგაბიტი წამში);

2.1.2 ქ. ბოლნისში, ი. გოგებაშვილის ქ. N26-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობა -- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური -- ინტერნეტის მიწოდება -- 10 მეგაბიტი წამში.

2.1.3 ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N115-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობა -- ინტერნეტის მიწოდება -- 4 მეგაბიტი წამში.

2,1,4 ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ტანძიაში, კავვასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CEEN), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტს "ეკომიგრაცია - დიალოგი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის" ფარგლებში საგანმანათლებლო "მწვანე ცენტრისათვის" -- ინტერნეტის მიწოდება -- 8 მეგაბიტი წამში.

2,1,5 ქ. ბოლნისში, ცენტრალურ გზაზე სკვერებში და ბულვარებში (8 წერტილი) -- ინტერნეტის მიწოდება -- 10 მეგაბიტი წამში თვითოეულ წერტილზე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3,1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3060 (სამიათას სამოცი)** ლარს. მათ შორის:

3,1,1 2,1,1 პუნქტში გაწერილი მომსახურებისთვის -- 810 ლარი;

3,1,2 2,1,2 პუნქტში გაწერილი მომსახურებისთვის -- 300 ლარი;

3,1,3 2,1,3 პუნქტში გაწერილი მომსახურებისთვის -- 300 ლარი;

3,1,4 2,1,4 პუნქტში გაწერილი მომსახურებისთვის -- 300 ლარი;

3,1,5 2,1,5 პუნქტში გაწერილი მომსახურებისთვის -- 1350 ლარი;

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა საჰაეხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, ყოველთვიურად 1020 ლარის ოდენობით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუმეტეს თვეში ერთხელ.

4,3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ეტაპობრივ მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. ეტაპობრივ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს თორნიკე ღამბარაშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების განყოფილების უფროსი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება --- **2020 წლის 01 იანვრიდან - 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) მიაწოდოს ობიექტზე უწვეტი ინტერნეტი მინიმუმ ხელშეკრულების 2,1 პუნქტში გაწერილი სიხშირით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.7.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბოლნისის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE65LB0120184309307000

„მიმწოდებელი“
შპს „ტენეტ“
ქ. ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ.N21ბ
ს/კ **425363581**
სს „თიბისი ბანკი“
ბ/კ TBCBGE22
ა/ა **GE38TB7259636080100010**

_____

მუნიციციპალიტეტის მერი:
დავით შერაზადიშვილი

Bolnisi Municipality
Digitally signed by Bolnisi Municipality
Date: 2019.12.31 11:41:44 +04'00'

_____

დირექტორი
თენგიზ ერაძე

Tengiz Eradze
Digitally signed by Tengiz Eradze
Date: 2019.12.31 12:39:50 +04'00'